მემორანდუმი

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის საერთო პირობების შესახებ

ქ. ზუგდიდი 19.08. 2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი), წარმოდგენილი რექტორის თეონა ხუფენიას სახით და, მეორე მხრივ, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია (შემდგომში სამედიცინო აკადემია), წარმოდგენილი დირექტორის რევაზ უზუნაძის სახით, შემდგომში მემორანდუმის მხარეებად წოდებულნი, ხელმძღვანელობენ რა მოქმედი კანონმდებლობის, წესდებების, წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად, მხედველობაში იღებენ რა ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნებს, შრომის ბაზრისა და განათლების სისტემის ურთიერთკავშირის ხელშეწყობას, პროფესიული განათლების განვითარების აუცილებლობას, სამედიცინო აკადემიასა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთანამშრომლობის მიზნით, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი და საგანი

1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეთა მიერ, ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მობილობის პროცესის ხელშეწყობა (მათ შორის „პრაქტიკოსი ექთნის" და „ფარმაცევტის თანაშემწის" პროფესიული პროგრამები). მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზება.
2. პროფესიული სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მემორანდუმის თითოეული მხარის საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ შემუშავებული წესის/წესების შესაბამისად.

მუხლი 2. მემორანდუმის მოქმედების ვადა

1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის ვადით.
2. მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.
3. მემორანდუმის თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს გადაწყვეტილება მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ აცნობოს ხუთ-ცოტა ერთი თვით ადრე მაინც.

4. მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებლია ასევე განხორციელდეს ამავე მემორანდუმის ერთ-ერთი მხარის ცალმხრივი ნების გამოხატვის საფუძველზე, მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. მემორანდუმში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმებული ცვლილებები და დამატებები უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და დაერთოს წინამდებარე მემორანდუმს.
2. მემორანდუმის მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე, ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მემორანდუმის თითოეულ მხარეს.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მის. ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14

ს/კ 220407888

საკონტაქტო ნომერი: +995 577419041

თეონა ხუფენია

რექტორი

(ხელმოწერა, ბეჭედი)

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია

მის. ქ.ბათუმი, პუშკინის ქ. #118

ს/კ 245419355

საკონტაქტო ნომერი: 593309497

რევაზ უზუნაძე

დირექტორი

(ხელმოწერა, ბეჭედი)